

მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

„ბარამიძე ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის
სკოპინგის ანგარიშსა და ანგარიშის განხილვის პროცესზე

8 მარტი, 2021

2021 წლის 12 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა მდ.
ბარამიძისწყალზე 7.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ბარამიძე ჰესის“
მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის [სკოპინგის ანგარიში](#). დაგეგმილი
საქმიანობის განმახორციელებელია სს „სუფსა ენერჯი“. სკოპინგის ანგარიშის
ავტორია - შპს „გამა კონსალტინგი“.

საჯარო განხილვა

მიუხედავად იმისა, 2021 წლის 24 თებერვლის [გადაწყვეტილებით](#)
შეხვედრების ჩატარებაზე პანდემიით გამოწვეული შეზღუდვა 1 მარტიდან
მოიხსნა, 2021 წლის 2 მარტს „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობის და
ექსპლუატაციის პროექტი სკოპინგის ანგარის განხილვა ონლაინ ჩატარდა.

ამ შენიშვნაზე სამინისტროს წარმომადგენლის განმარტება იყო, რომ წინა
დღით ვერ მოხდებოდა შეხვედრის ფორმატის შეცვლა და ვერც ვადებს
დაარღვევდა სამინისტრო.

საჯარო განხილვის არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ განხილვაში
მონაწილეობის მსურველთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო განხილვაზე
დასწრება შესაბამისი ტექნიკის (კომპიუტერის ან სმარტფონის) და/ან
ინტერნეტზე წვდომის არ ქონის გამო. ასევე, აღნიშნა, რომ თუნდაც
ტექნიკური შესაძლებლობების არსებობის პირობებში ქალაქზე
ამობეჭდილი ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია საჯარო განხილვაში
მონაწილეების მისაღებად სრულიად უსარგებლო იყო:

საჯარო განხილვაზე დასწრების ბმული:
<https://mepameet.webex.com/mepameet/j.php?MTID=m39834bc4927d4eb95fb504ccd993bb64>
შეხვედრის ნომერი: 181 677 6986
შეხვედრის კოდი: 987654321

საჯარო განხილვის შესახებ სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ
გარდა სამინისტროს ვებ-გვერდისა, ინფორმაცია გავრცელდა საკრებულოს
ვებ-გვერდზე და ფეისბუქ-გვერდზე.

როგორც მოგეხსენებათ, „გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების
საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორჰუსის კონვენცია)
შესაბამისობის კომიტეტმა ჯერ კიდევ 2020 წლის ივნისში ყაზახეთის
მიმართვის საფუძველზე იმსჯელა პანდემიის პირობებზე განხილვების

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ონლაინ ჩატარების შესაბამისობაზე კონვენციის მომთხოვნებთა. კომიტეტის რეკომენდაციების თანახმად:¹

22. როგორც ამოსავალი წერტილი, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს კონვენციის მე-6-მე-8 მუხლების ზოგად ვალდებულებას – თითოეულმა მხარემ უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი მხარეებს პირდაპირ უწესებს მოთხოვნას საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის თაობაზე. იგივე მოთხოვნა მეორდება მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში და, ასევე, მე-7 მუხლში. მე-8 მუხლი ასევე ეხება საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას. ამრიგად, **საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება წარმოადგენს ფუნდამენტურ სტანდარტს**, რომლის შესაბამისად უნდა შეფასდეს საზოგადოების მონაწილეობის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურის ყველა ასპექტი. როგორც მოცემულია ქვემოთ 23-69 პუნქტებში, იგი თანაბრად მოქმედებს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებზე COVID-19-ის პანდემიის დროს.

23. საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობა COVID-19-ის პანდემიის დროს კონკრეტული საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა იყოს „თანმიმდევრული“ და შეესაბამებოდეს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს ჩვეულებრივ დროში. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს საჯარო ხელისუფლების დამატებითი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრაქტიკაში საზოგადოება არ აღმოჩნდეს წაგებიან მდგომარეობაში.

24. მეტიც, იმის გამო, რომ შესაძლოა მეთოდები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება შეძლებს COVID-19-ის პანდემიის დროს ჩართულობას, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაინტერესებულ მხარეში მოქმედი საზოგადოების მონაწილეობის ჩვეულებრივი პროცედურებისგან, საჭიროა დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატური და დროული ინფორმირება, იმისათვის რომ სტრუქტურა, რომლითაც საზოგადოებას შეუძლია პროცესში ჩართვა, იყოს ცხადი და გამჭვირვალე, როგორც ამას მოითხოვს მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. ადეკვატური და დროული ინფორმირება საზოგადოების ჩართულობაზე, განხილულია ქვემოთ მოცემულ 29-ე და 33-ე-37-ე პუნქტებში“.

28. COVID-19-ის პანდემიის დროს საზოგადოების მონაწილეობის ნებისმიერმა ალტერნატიულმა მეთოდმა არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები იმ საზოგადოებისთვის, ვინც მონაწილეობას აპირებს. მაგალითად, ვირტუალური საჯარო მოსმენის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფასო ტელეფონის ნომრები, რათა ინტერნეტის გარეშე მყოფმა საზოგადოებამ მონაწილეობა ფინანსური დანახარჯის გარეშე შეძლოს.

29. ვინაიდან დაინტერესებული მხარის მიერ საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მეთოდები განსხვავდება ჩვეულებრივ გამოყენებული მეთოდებისგან, ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა დამატებითი ძალისხმევა უნდა გაიღონ და მეტი დრო დაუთმონ დახმარების გაწევასა და სახელმძღვანელო მითითებების წარდგენას, რათა საზოგადოებას განუმარტონ, თუ როგორ შეუძლიათ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა COVID-19-ის პანდემიის დროს. ეს შეიძლება მოიცავდეს მომხმარებლისთვის მოსახერხებელი სახელმძღვანელო მითითებების მომზადებას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ასეთ პროცედურებში COVID-19-ის პანდემიის დროს.

33. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, COVID-19-ის პანდემიის დროს, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად უნდა იყოს ინფორმირებული შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ. **საზოგადოების წევრებს შეიძლება მოეთხოვოთ საკუთარ სახლებში დარჩენა, ან შესაძლოა მათ თავად მიიღონ ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.**

¹ ყაზახეთის მიერ COVID-19-ის პანდემიის დროს საჯარო მოსმენების ვიდეოკონფერენციების მეშვეობით ჩატარების თაობაზე რჩევის მოთხოვნასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (არაოფიციალური თარგმანი ქართულად), გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორპუნის კონვენციის) შესაბამისობის კომიტეტი, 2020 წლის 1 ივლისი

ასეთ დროს, შესაძლოა არ იყოს ადეკვატური და ეფექტიანი მათი ინფორმირება მხოლოდ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს ან საჯარო განცხადებების დაფებზე განთავსებული შეტყობინებების სახით, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს შეტყობინების დამატებითი საშუალებები.

34. ამრიგად, საჭიროა შეტყობინების დამატებითი საშუალებების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად ინფორმირება. დაინტერესებული მხარის მიერ გამოყენებული შეტყობინების იმ საშუალებების გარდა, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება საქმიანობასთან პოტენციურად დაკავშირებულ სივრცეში ყველაზე მეტად წაკითხვადი გაზეთის საშუალებით, შესაბამისი საჯარო ხელისუფლების ვებგვერდების, რადიოს, ტელევიზიისა და სოციალური მედიის მეშვეობით, ზოგიერთ შემთხვევაში, ეფექტიანი შეტყობინების უზრუნველსაყოფად, შესაძლოა საჭირო გახდეს გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებული ადგილობრივი მცხოვრებლებისა და სხვა პირების ინდივიდუალური ინფორმირება, მაგალითად, საფოსტო გზავნილის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) გზით.

35. ვინაიდან პროცედურა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაინტერესებული მხარის მიერ ჩვეულებრივ მდგომარეობაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფი პროცედურებისგან, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სხვა მოთხოვნების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რომ შეტყობინება მოიცავდეს მკაფიო ინფორმაციას გათვალისწინებული პროცედურის შესახებ, მათ შორის:

- ა) საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები (მუხლი 6 (2) (დ) (ii));
- ბ) როდის და როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ვირტუალურ საჯარო მოსმენაში (მუხლი 6 (2) (დ) (iii));
- გ) როგორ შეუძლია საზოგადოებას, მიიღოს სათანადო ინფორმაცია (მუხლი 6 (2) (დ) (iv));
- დ) ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, რომელსაც წარედგინება კომენტარები ან შეკითხვები, მათი წარდგენის განრიგთან ერთად (მუხლი 6 (2) (დ) (v)).

36. შესაბამისად, ვირტუალური საჯარო მოსმენის პროცედურა უნდა გამოქვეყნდეს მოსმენის დაწყებამდე საკმარისად ადრე, რათა საზოგადოებამ შეძლოს სათანადო მომზადება და მონაწილეობა. ეს მოიცავს მოსმენის ფორმატს, დღის წესრიგსა და დაგეგმილ ვადებს. საზოგადოება წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული პროცედურის ნებისმიერი ცვლილების შესახებ და ნებისმიერი ასეთი ცვლილება მის მონაწილეობას არ უნდა უქმნიდეს დამატებით ბარიერებს².

37. აღნიშნულის გარდა, ვირტუალური საჯარო მოსმენის შეტყობინება უნდა მოიცავდეს ყველა ბმულსა და ტელეფონის ნომერს, რომელიც დასჭირდება საზოგადოებას მოსმენის პროცესში ჩართვისთვის, ასევე იმ პირების საკონტაქტო მონაცემებს, ვისაც დაუკავშირდება საზოგადოება მოსმენის პროცესში ჩართვის დროს გამოვლენილი ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში.

38. ვინაიდან საზოგადოება ჩვეულებრივ ვერ მოემზადება და მიიღებს მონაწილეობას, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის თითოეული ეტაპის სტანდარტული ვადები უნდა გახანგრძლივდეს, რათა საზოგადოებამ შეძლოს სათანადო მომზადება და მონაწილეობა. მაგალითად, შესაძლოა საჭირო გახდეს საზოგადოების მიერ კომენტარის მომზადების ვადის გახანგრძლივება, ვინაიდან საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციაზე წვდომას შეიძლება ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდეს.

² იხილეთ გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ მასტრიხტის 2015 წლის რეკომენდაციების (მასტრიხტის რეკომენდაციების) 118-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.unece.org/index.php?id=49142>

40. თუ COVID-19-ის პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო, დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს არ ექნებათ შესაძლებლობა, ეწვიონ საჯარო დაწესებულებებს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის პირადად გამოსაკვლევადა, **აუცილებელი იქნება ალტერნატიული შესაძლებლობების დანერგვა საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის შესწავლის უზრუნველსაყოფად.**

41. ელექტრონული ინფორმაციის საშუალებების შესახებ კონვენციის 2005 წლის რეკომენდაციების 113-ე პუნქტის შესაბამისად³, კარგი იქნება, თუკი შეიქმნება მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ონლაინ-პორტალი, სადაც დაინტერესებულ საზოგადოებას მარტივად ექნება წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე.

42. ამასთან, თუ დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ, ეწვიონ საჯარო დაწესებულებებს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის შესასწავლად, მათთვის, ვისაც არ გააჩნია ინტერნეტზე წვდომა, **უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარტივი ხელმისაწვდომობა ამ ინფორმაციაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ფოსტით საინფორმაციო პაკეტების გაგზავნას, რომლებიც უნდა შეიცავდეს ასეთი პირებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას.** მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამგვარი საინფორმაციო პაკეტებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს უფასოდ. თუ შემდგომში ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ინფორმაცია, ის ასევე უნდა გაეგზავნოს დაინტერესებული საზოგადოების ამ წარმომადგენლებს. **არ უნდა შეილახოს დაინტერესებული საზოგადოების იმ წევრების უფლებები, ვისაც ტექნოლოგიაზე ხელი არ მიუწვდება.** მეტიც, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა მათი ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

48. ვირტუალურ მოსმენაში საზოგადოების მონაწილეობის ტექნიკური ბარიერები შეიძლება მოიცავდეს მაღალი ხარისხის ინტერნეტზე წვდომის არქონას ან ონლაინ შეხვედრაში მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონას.

49. ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალტერნატიული საშუალებები, რათა საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელთაც არ აქვთ წვდომა ტექნოლოგიაზე ან არ გააჩნიათ სათანადო ტექნიკური უნარ-ჩვევები, მაინც შეძლონ ეფექტიანი მონაწილეობა.

50. პირველ რიგში, საზოგადოების წევრებს, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტი ან აქვთ ტექნიკური სირთულეები, მაინც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მოსმენაში უფასო ტელეფონის ნომერზე დარეკვის გზით, კერძოდ, მოუსმინონ პროცესებს, დასვან კითხვები და გააკეთონ განცხადებები.

52. **თუ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ინტერნეტი, მოსმენის გადაცემისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ნაკლებტექნოლოგიური საშუალებები, რომლითაც საზოგადოება შეძლებს განცხადებების გაკეთებას და კითხვების დასმას.** მაგალითად, შესაძლებელია, მოსმენა პირდაპირ ეთერში გადაიცეს ტელევიზიით ან რადიოთი. ამასთან, ვინაიდან რადიო და ტელევიზია საზოგადოების წარმომადგენლებს არ აძლევს დისტანციურად საუბრის შესაძლებლობას, **ყველა შემთხვევაში საზოგადოების წევრებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს განცხადებების გაკეთება და კითხვების დასმა უფასო ტელეფონის ნომრით, ხოლო მათ მიერ, ვისაც აქვთ ინტერნეტი, ინტერნეტის საშუალებით.**

54. საჯარო მოსმენის მნიშვნელოვანი ნაწილია საზოგადოების მიერ კითხვების დასმისა და დაგეგმილი საქმიანობის განმარტებების ან მხარდაჭერებისა და მათი ექსპერტების ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. ვირტუალურ მოსმენაში ჩართვისა და ინტერნეტით ან ტელეფონით კითხვების დასმის შესაძლებლობის გარდა, საზოგადოების წევრებს, **როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი, უნდა მიეცეთ საშუალება, წარადგინონ წერილობითი შეკითხვები მოსმენის დაწყებამდე, ხოლო მოსმენის ორგანიზატორებმა უნდა დაუსვან ეს შეკითხვები შესაბამის პირებს უშუალოდ მოსმენის დროს. შემდგომში უნდა მოხდეს პასუხების ჩაწერა ნებისმიერ ასეთ კითხვაზე.**

³ ხელმისაწვდომია აქ: <https://www.unecce.org/index.php?id=21468>

59. საჯარო მოსმენის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა ვირტუალური მოსმენის გამართულად წარმართვის მიზნით.

60. ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ვირტუალური მოსმენის შესახებ შეტყობინებაში, ასევე ინსტრუქციებში სხვადასხვა საშუალების თაობაზე (მაგალითად, ვებგვერდის ბმული, უფასო ტელეფონის ნომრები და ა.შ.), რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება შეძლებს მოსმენაში ჩართვას.

61. იმ შემთხვევაში, თუ ვირტუალურ მოსმენაში ჩართვისას საზოგადოების წარმომადგენლებს შეექმნება ტექნიკური პრობლემები, მათ უნდა შეეძლოთ უფასო ტელეფონის ნომრის საშუალებით მონაწილეობა და წერილობითი კომენტარის წარდგენა.

65. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ეხება კონვენციის განხორციელების გამჭვირვალე სტრუქტურას, საზოგადოებას უნდა შეეძლოს ინფორმაციის მიღება ყველა იმ პირის შესახებ, ვინც მონაწილეობს ვირტუალურ მოსმენაში და იცოდეს, ვის წარმომადგენენ ისინი. ეს მოიცავს დაგეგმილი საქმიანობის განმარტებების ან მხარდამჭერის წარმომადგენლების, ოფიციალური პირებისა და ორგანიზატორების ვინაობას, ასევე, მოსმენაში მონაწილე საზოგადოების სხვა წევრებისა და მათთან ავილირებული პირების ვინაობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

66. ამასთანავე, ვირტუალური მოსმენებისას უნდა მოხდეს კიდევ უფრო მკაცრი კონტროლი, ვიდრე ფიზიკური შეხვედრით მოსმენისას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემოთავაზებული საქმიანობის ხელშეწყობით დაინტერესებული ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საზოგადოების წევრებისთვის თანხის გადახდა, რამე ფორმით დაჯილდოება ან ზეწოლა საქმიანობის მხარდაჭერის გამოსატვისათვის მოსმენის დროს⁴.

67. ვირტუალური მოსმენის ოქმი ან ჩანაწერი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, რათა ყველა პირმა, ვინც ზეპირად წარადგინა კომენტარები, შეძლოს შემოწმება, რამდენად სწორად მოხდა ჩაწერა. კარგი პრაქტიკა იქნება, თუკი ვირტუალური მოსმენის დასრულებიდან მალევე, ოქმები და ჩანაწერები ელექტრონულად იქნება ხელმისაწვდომი იმავე პორტალის საშუალებით, სადაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციის მოძიება⁵.

ასევე, „ორჰუსის კონვენციის გამოყენების შესახებ COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე“ ორჰუსის კონვენციის შესაბამისობის კომიტეტის შესაბამისობის კომიტეტის 2020 წლის 2 სექტემბერის განცხადების⁶ თანახმად: „კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენცია სრულად და თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე და კონვენციით განსაზღვრული სავალდებულო უფლებების შემცირება ან შეზღუდვა არ შეიძლება. შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ კონვენციით დადგენილი უფლებების რაიმე შეზღუდვის გამართლება COVID-19-ის პანდემიით ან ეკონომიკის სწრაფი აღდგენის აუცილებლობით, რაც პანდემიითაა გამოწვეული. COVID-19-ის პანდემიის დროს ან შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად შემოღებული ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს“.

⁴ ასევე იხილეთ მასტრიხტის რეკომენდაციების 118-ე პუნქტი.

⁵ ასევე იხილეთ მასტრიხტის რეკომენდაციების 122-ე პუნქტი.

⁶ [‘განცხადება ორჰუსის კონვენციის გამოყენების შესახებ COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე’](#) (არაოფიციალური თარგმანი ქართულად), გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) შესაბამისობის კომიტეტი, 2020 წლის 2 სექტემბერი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი სკოპინგის ანგარის განხილვა არ შეიძლება ჩაითვალოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა“ და „ორჰესის კონვენციის“ მიზნების შესაბამისად ჩატარებულად.

- მომხმარებელთათვის სამინისტროს სრულიად უხილავ განყოფილებაში ინფორმაციის განთავსება არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გავრცელებად. ისევე როგორც, ქალაქში ამობეჭდილი უგრძესი ინტერნეტ ბმულის ხეზე გაკვრა.
- არ არსებობდა არავითარი ალტერნატივა ადამიანებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ ინტერნეტზე ან შესაბამის ტექნიკაზე წვდომა;
- განხილვის დროს პროექტის შემოქმედების ქვეშ მყოფ სოფელ სურებში გამოირთო ელექტროენერგია. მსგავსად, რამდენიმე თვის წინ, სოფელ ვაკიჯვარი ანალოგიური საჯარო განხილვის დროს გამოირთო ელექტროენერგია. სოფელ სურების მცხოვრებნი სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მონაწილეობისათვის იძულებული იყვნენ ჩასულიყვნენ ჩონატაურში და მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზით ესარგებლათ;
- ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან საჯარო განხილვაში მონაწილეობის მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო დარბაზში შეცვლა და შეხვედრაში ჩართვა. მუნიციპალიტეტის მერიამ მხოლოდ 10 მოქალაქეს მისცა შენობაში შესვლის უფლება, რამაც მოქალაქეების გულისწყრომა გამოიწვია, რადგან მათი განმარტებით საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, 30-40 ადამიანი ესწრება;
- საჯარო განხილვაში მონაწილე პირების ნაწილი არ იყო იდენტიფიცირებადი;
- სამინისტროს წარმომადგენელს არასწორი წარმოდგენა ჰქონდა პროცესში საკუთარი როლის შესახებ, ხშირად არ ჰქონდა პასუხი განსახილველ დოკუმენტთან დაკავშირებით, რაც მთავრია არ ჰქონდა თავად განსახილველი დოკუმენტი;
- კომპანიის წარმომადგენელი ერთვებოდა საუბარში როცა მოესურვებოდა, აწყვეტინებდა საუბარს და ეკამათებოდა გამომსვლელებს უხეში ტონით, ზოგჯერ ხმის ამადლებით, რასაც არ მოჰყოლია სამინისტროს წარმომადგენლის რეაგირება;
- შეხვედრაზე არაერთხელ გაჟღერდა კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე ზეგავლენის არაერთი ფაქტი. რამდენიმე ადამიანმა თავად მოყვა კომპანიის მხრიდან მათ მიმართ გაწეული მატერიალური „დახმარების“ შესახებ და ღიად დააფიქსირა, რომ ამის გამო პროექტს უჭერდა მხარს;
- კომპანიის წარმომადგენელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ კომპანია მზად იყო თავად დაეფარა სოფლის მოსახლეობის ელექტროენერგიის ხარჯი და შეესყიდა მაცხოვრებლების მიერ შექმნილი სხვადასხვა პრობლემა; ასევე კომპანია დაასაქმებდა ყველა დასაქმების მსურველს. ჩვენს შეკითხვაზე თუ რატომ არ იყო ეს ვალდებულებები წარმოდგენილი განსახილველ დოკუმენტში სოციალური ზემოქმედების შესწავლისას, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩვენთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ვალდებულებები ასეთ დოკუმენტებში ვერ მოხდებოდა. ნათელია, წარმომადგენლის საჯარო განხილვაზე გაჟღერებული დაპირებები დაინტერესებული საზოგადოების აშკარა და დაუფარავი მოსყიდვისა და ზემოქმედების მცდელობა იყო და უნდა აღკვეთილიყო სამინისტროს წარმომადგენლის მიერ, რასაც ადგილი არ ჰქონია. საჯარო განხილვაზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კომპანიის მოქალაქეებთან არაკეთილსინდისიერი ფორმებით ურთიერთობის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში უკვე შექმნილია კონფლიქტური სიტუაცია;
- საჯარო განხილვაზე ასევე გაჟღერდა მოქალაქეების მიმართ მუქარის ფაქტების არსებობის შესახებ, რაც მიგვაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების საგანი უნდა გახდეს.

რაც მთავრია, ვადების დაცვის საბაზით მოხსნილი შეზღუდვების პირობებში შეხვედრის ონლაინ ჩატარება საზოგადოების სათანადო მონაწილეობის მიზანმიმართული შეზღუდვაა და არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საკმარის საფუძვლად.

დანაწევრებული საქმიანობა

განსახილველად წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის მიხედვით ჰიდროკვანძის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ნაგებობები:

- სათავე ნაგებობა, სალექარი;
- ჰესის სადაწნეო მილსადენი;
- ჰესის შენობა და გამყვანი არხი;
- ელექტროქვესადგური 6.3/110 კვ;
- მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი (110 კვ). (დაპროექტდება მომდევნო ეტაპზე და დამოუკიდებლად განხორციელდება გზმ-ს პროცედურა).

ჰესის სათავე ნაგებობა განთავსებული იქნება მდ. ბარამიძისწყალზე 730.70 მ ნიშნულზე. სათავე ნაგებობა წარმოადგენს დაბალდაწნევიან ბეტონის წყალსაშვიან დამბას ფსკერულგისოსიანი წყალმიმღები გალერეით (ტიროლის ტიპი), საანგარიშო წყალაღებით 4.0 მ³/წმ. წყალმიმღები გალერეიდან წყალი გადადის ერთკამერიან პერიოდული რეცხვის სალექარში, 58 მ სიგრძის, 6.0 მ სიგანის არხით.

სალექარიდან სათავეს იღებს ჰესის სადაწნეო მაგისტრალური ფოლადის მილსადენი, საერთო სიგრძით 4070 მ, რომელიც ეწყობა დახურულ ტრანშეაში განთავსებული მილსადენით და ჰესის უშუალო სიახლოვეს განშტოვდება ორ სატურბინო მილსადენად, სიგრძით თითოეული 25 მ.

სადაწნეო მილსადენით წყალი მიეწოდება სამანქანო შენობაში დამონტაჟებულ ორ ჰორიზონტალურ „პელტონის“ ტიპის ტურბინას.

გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება 110 კვ დია სატრანსფორმატორო ქვესადგურს, საიდანაც 110 კვ ძაბვის ელ. გადამცემი ხაზის მეშვეობით, მიუერთდება 110 კვ ოზურგეთი-ზოტი ჰესის საპროექტო ელ. გადამცემ ხაზს. 110 კვ ოზურგეთი-ზოტი ჰესის ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობა იგეგმება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, **წინამდებარე სკოპინგის და შემდგომ გზმ-ის ანგარიში არ გულისხმობს აღნიშნული ეგხ-ის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ეგხ-ის პროექტი დამოუკიდებლად გაივლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს“.**

ნათელია, რომ მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის განუყოფელი ნაწილია და ამასვე ადასტურებს სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილი ჩანაწერი. გამოდის, რომ საქმიანობა ხელოვნურად არის დანაწევრებული და მთლიანი პროექტის ზემოქმედება მიზანმიმართულად შემცირებული.

აქვე აღნიშნავთ, რომ კომპანია „გამას კონსალტინგის“ წარმომადგენლები შეეცადნენ შეცდომაში შეყვანათ შეხვედრის მონაწილეები და განაცხადეს, რომ გადამცემი ხაზების მშენებლობა არ იგეგმება და ელექტროენერგიის გადაცემა მიწისქვეშა კაბელების საშუალებით მოხდებოდა.

ვთვლით, რომ დაუშვებელია პროექტის მსგავსი დანაწევრება და წარმოდგენილ საქმიანობას მხოლოდ ამ მიზეზით უარი უნდა ეთქვას სკოპინგის დასკვნის გაცემაზე.

სკოპინგის და/ან გზმ ანგარიში უნდა მოიცავდეს სრულ პროექტს, რაც ჰიდროელექტროსადგურის შემთხვევაში გულისხმობს, რომ პროექტში გაანალიზებული უნდა იყოს ჰესთან დაკავშირებული და დამხმარე ყველა საქმიანობა (გზების გაყვანა, ელექტროგადამცემი ხაზები, ქვესადგურები და ა.შ.)⁷.

კუმულაციური ზემოქმედება

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის საკითხი, ასევე, არ არის შეტანილი პროექტში მოცემულ თავში „4.1.5 კუმულაციური ზემოქმედება“. პროექტის განმარტებულს და მის კონსულტანტს არასწორად ესმის კუმულაციური ზემოქმედების არსი/ცნება. კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს მდგომარეობაზე და ბუნებრივ რესურსებზე მოსალოდნელ ცვლილებები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა სხვა მიმდინარე ან დამტკიცებულმა პროექტმა (იხ. ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების დირექტივა - Directive 2011/92/EU as amended by Directive 2014/52/EU). ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მყოფი არცერთი ჰესი არ მდებარეობს და არც იგეგმება და შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება კუმულაციური ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ანუ პროექტის ავტორს და მის დაქირავებულ საკონსულტაციო კომპანიას მიაჩნიათ, რომ კუმულაციური ზემოქმედება მხოლოდ მსგავსი პროექტის (ჰესის) შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს. საჯარო განხილვაზე, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი, ასევე, არასწორად ესმის სამინისტროსაც.

ალტერნატივები

სკოპინგის ანგარიშის 3.1. თავში წარმოდგენილი „არაქმედების ალტერნატივა“ არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ განმარტებას. კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა,გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატივების შესახებ. ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი აზუსტებს ამ მოთხოვნას და განმარტავს, რომ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით. ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტი არღვევს ამ მუხლის მოთხოვნებს და მასზე არ შეიძლება გაიცეს სკოპინგის დასკვნა.

ჰიდროლოგია და წყლის ხარჯი

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, (გვ.38-39) „მდინარე ბარამიძისწყალი არ არის შესწავლილი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ, მისი საშუალო წლიური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის კვეთში, დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია მდ. სუფსას მონაცემები ჰ/ს ჩოხატაურის კვეთში, რომელიც მდებარეობს საპროექტო უბნის სიახლოვეს. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განიხილება საშუალო წლიური ხარჯის (3.0 მ³/წმ) 10-დან 15%-მდე, რაც შეადგენს 0.30-0.45 მ³/წმ-ს. ნებისმიერ შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა მეტი იქნება 90%-იანი უზრუნველყოფის ბუნებრივ მინიმალურ ხარჯზე“.

წარმოდგენილი მიდგომა არ შეესაბამება ევროკავშირის წლის ჩარჩო დირექტივის მიდგომას და ეწინააღმდეგება საქართველოს დეკლარირებულ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ევროკავშირთან დაახლოებას გულისხმობს. განსახილველი დოკუმენტი ეყრდნობა სრულიად მოძველებულ, არარელევანტურ ჰიდროლოგიურ მონაცემებს. ანალოგიური შემთხვევების დროს ე.წ. „ანალოგის მეთოდის“ და 10%-იანი „სანიტარული ხარჯის“ გამოყენება არის სრულიად დაუსაბუთებელი და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მიდგომის გამოყენებით ბოლო წლებში ათეულობით პროექტი

⁷ [ob. Environmental Impact Assessment of Projects Guidance on Scoping \(Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU\), Guidance on the preparation of the EIA Report \(Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU\)](#)

განხორციელდა, რასაც, ერთის მხრივ, უკვე აქვს თვალნათელი ეკოლოგიური პრობლემები (რამდენიმე კილომეტრზე მდინარის ეკოსისტემის კვდომა, ვიზუალური/ლანდშაფტის დაბინძურება, თევზების ჰაბიტატების და სამიგრაციო გზების განადგურება), ხოლო მეორეს მხრივ, ბოლო პერიოდში აშენებული ჰესების მიერ ელექტროენერჯის გამომუშავების დონე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაგეგმილ ენერგეტიკულ სარგებლიანობაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ბიომრავალფეროვნების საკითხები

სკოპინგის ანგარიშში რამდენჯერმე ნახსენებია, რომ კვლევები ჩატარდა 2018 წელს მომზადებული გზმ-ს ფარგლებში. გაუგებარია, რა დოკუმენტზეა საუბარი, რომელი პროექტის გზმ მომზადდა 2018 წელს. ზოგ ადგილას საუბარია მდინარე ბარამიდის წყალზე, ზოგან - მდინარე სუფსაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინამდებარე სკოპინგის ანგარიშის მოსამზადებლად არანაირი კვლევა არ არის ჩატარებული და სკოპინგის ანგარიშის ტექსტი წარმოადგენს სხვადასხვა დოკუმენტის კომპილაციას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ბარამიდის წყალში გავრცელებულია ნაკადულის კალმახი – *Salmo labrax fario*. საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით *Salmo fario labrax* არის შავი ზღვის ორაგული.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ჰაბიტატების კლასიფიკაცია CORINE biotope classification სისტემით, რომელიც 2014 წელს შეიცვალა EUNIS კლასიფიკაციით.

წარმოდგენილი სახით და დიზაინით პროექტის განხორციელება სულ მცირე ცხოველთა ორ სახეობაზე - *Lutra lutra* (წავი) და *Salmo fario labrax* (შავი ზღვის ორაგული ან კალმახი) გამოიწვევს იმგვარ ზემოქმედებას, რომელიც აკრძალულია „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით ([მუხლი 11. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა](#)). „1. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა“). ამასთან ერთად, მდინარის დაშრეტის, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და სხვა ანთროპოგენული ჩარევის შედეგად ვიზუალურ-ლანდშაფტური დაბინძურების ხასიათი და მოცულობა იქნება მიუღებელი, მუქმდებელი იქნება გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ სკოპინგის ეტაპზე უარი ითქვას საქმიანობის განხორციელებაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მიგვაჩნია, რომ საქმიანობის განხორციელების მსურველს უნდა მიეცეს რეკომენდაცია, რომ სკოპინგის ანგარიშის ხელახლა მომზადების ან გზმ ანგარიში მომზადებისას გამოიყენოს შემდეგი მეთოდოლოგია:

- მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებისას:
 - „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოთი“ (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“ USAID/G4G; „დელოიტ ქონსალტინგი“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო, ავტორი: GEORGIA’S ENVIRONMENTAL OUTLOOK, თებერვალი 2017, რედ.: გიორგი ჩიქოვანი, ქეთევან სხირელი, მარიამ ბახტაძე).
- თევზსავალების დაგეგმვისა და მომზადებისას:
 - Merkblatt DWA-M 509 Fischaufstiegsanlagen und fi schpassierbare Bauwerke – Gestaltung, Bemessung, Qualitätssicherung Deutsche Vereinigung für Wasserwirtschaft, Abwasser und Abfall e. V. Herausgabe und Vertrieb: Deutsche Vereinigung für Wasserwirtschaft, Abwasser und Abfall e. V. Theodor-Heuss-Allee 17 · 53773 Hennef · Deutschland Tel.: +49 2242 872-333 · Fax: +49 2242 872-100 E-Mail: info@dwa.de · Internet: www.dwa.de

- FISH PASSES, Design, Dimensions and Monitoring, Food and Agriculture Organization of the United Nations Deutscher Verband für Wasserwirtschaft und Kulturbau e.V. (DVWK) Rome, 2002 <http://www.fao.org/3/y4454e/y4454e00.htm>
- სკოპინგის და გზშ ანგარიშების მომზადებისა და შეფასებისათვის:
 - Environmental Impact Assessment of Projects Guidance on Scoping (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU), Guidance on the preparation of the EIA Report (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU) https://ec.europa.eu/environment/eia/pdf/EIA_guidance_EIA_report_final.pdf